

შპს რეალი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2-3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4-5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6-7
განმარტებითი შენიშვნები	8-22

შპს რეალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
ბრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	686,035	151,224
არამატერიალური აქტივი	5	3,533	3,492
		689,568	154,716
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	415,711	851,914
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	147,355	65,756
მარაგები	8	7,179,366	3,931,008
გადახდილი ავანსები	9	9,092	302,831
სხვა მიმდინარე აქტივები	10	23,441	4,962
		7,774,965	5,156,471
მთლიანი აქტივები		8,464,533	5,311,188
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,624,620	1,431,665
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,301,208	914,796
		3,925,828	2,346,461
ვალდებულებები			
ბრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	898,739	1,260,843
		898,739	1,260,843
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	2,588,240	1,031,841
საგადასახადო ვალდებულებები	13	2,943	40,492
გადასახდელი პროცენტი	14	31,710	1,021
ანარიცხები	15	47,575	8,150
მოკლევადიანი სესხები	11	969,497	622,380
		3,639,966	1,703,884
მთლიანი ვალდებულებები		4,538,705	2,964,726
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		8,464,533	5,311,187

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25
სექტემბერს

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე

შპს რეალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
ბრძოლვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	686,035	151,224
არამატერიალური აქტივები	5	3,533	3,492
		689,568	154,716
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	415,711	851,914
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	147,355	65,756
მარაგები	8	7,179,366	3,931,008
გადახდილი ავანსები	9	9,092	302,831
სხვა მიმდინარე აქტივები	10	23,441	4,962
		7,774,965	5,156,471
მთლიანი აქტივები		8,464,533	5,311,188
მთლიანი პასივობა			
საწესდებო კაპიტალი		1,624,620	1,431,665
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,301,208	914,796
		3,925,828	2,346,461
ვალდებულებები			
ბრძოლვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	898,739	1,260,843
		898,739	1,260,843
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	2,588,240	1,031,841
საგადასახადო ვალდებულებები	13	2,943	40,492
გადასახდელი პროცენტი	14	31,710	1,021
ანარიცხები	15	47,575	8,150
მოკლევადიანი სესხები	11	969,497	622,380
		3,639,966	1,703,884
მთლიანი ვალდებულებები		4,538,705	2,964,726
მთლიანი პასივობა & ვალდებულებები		8,464,533	5,311,187

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე

მ. რაზმაძე

შპს რეალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2018
ამონაგები	16	6,578,775
თვითღირებულება		(3,492,591)
საერთო მოგება		3,086,184
სხვა შემოსავლები	17	1,450
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(390,779)
მიწოდების დანახარჯები	18	(1,140,987)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	19	(22,947)
სხვა ხარჯები	20	(400)
საოპერაციო მოგება		1,532,520
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	21	(146,108)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(146,108)
მოგება დაბეგვრამდე	22	1,386,412
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		1,386,412
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,386,412

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე

შპს რეალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მომავლისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2018
ამონაგები	16	6,578,775
თვითღირებულება		(3,492,591)
საერთო მოგება		3,086,184
სხვა შემოსავლები	17	1,450
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(390,779)
მიწოდების დანახარჯები	18	(1,140,987)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	19	(22,947)
სხვა ხარჯები	20	(400)
საოპერაციო მოგება		1,532,520
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	21	(146,108)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(146,108)
მოგება დაბეგვრამდე	22	1,386,412
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		1,386,412
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,386,412

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25

სექტემბერს

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე



შპს რეალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	1,431,665	-	914,796	2,346,461
მოგება წლის ბოლოს			1,386,412	1,386,412
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,386,412	1,386,412
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	192,955			192,955
2018 წლის 31 დეკემბერი	1,624,620	-	2,301,208	3,925,828

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25
სექტემბერს

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე

შპს რეალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	1,431,665	-	914,796	2,346,461
მოგება წლის ბოლოს			1,386,412	1,386,412
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,386,412	1,386,412
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	192,955			192,955
2018 წლის 31 დეკემბერი	1,624,620	-	2,301,208	3,925,828

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25
სექტემბერს

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე

მ. ხაზაძე

შპს რეალი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

1. ზოგადი ინფორმაცია

რეალი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართი და ოფისის საქმიანობის ადგილია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გ. კარტოზიას ქ., №8, კორპ. 7, ბ. 48. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ძვირფასეულობით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2016 წლის 30 აგვისტო.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - მაყვალა რაზმაძე

კომპანიის წილის მფლობელები:

ნიკოლოზ რაზმაძე - 25 %; მაყვალა რაზმაძე - 25%; ლორა რეხვიაშვილი - 25%; ნინო ქალიაშვილი - 25%;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას და შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და

შპს რეალი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ოფისის აღჭურვილობა	20 პროცენტი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20 პროცენტი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყივნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების

ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

შპს რელი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რელიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულების საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ

ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურისის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება არაუგვიანეს თვის ბოლო რიცხვში.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

შპს რეალი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

შპს რეალი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	იზარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01 იანვარი 2018	120,796	53,227	174,023
შემოსვლა	477,140	176,360	653,501
გადაფასება			-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	597,936	229,587	827,524
ცვეთა და გაუფასურება			
01 იანვარი 2018	(22,792)	(7)	(22,799)
პერიოდის ცვეთა	(80,258)	(38,431)	(118,689)
გაუფასურება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(103,050)	(38,439)	(141,488)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
01 იანვარი 2018	98,004	53,220	151,224
31 დეკემბერი 2018	494,887	191,149	686,035

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: კლებადი ნაშთის მეთოდი

5. არამატერიალური აქტივები:

	საოფისე პროგრამა	სულ
01 იანვარი 2018	3,564	3,564
შემოსვლა	441	441
გადაფასება		-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2018	4,004	4,004
ცვეთა და გაუფასურება		
01 იანვარი 2018	(71)	(71)
პერიოდის ცვეთა	(400)	(400)
გაუფასურება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2018	(472)	(472)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
01 იანვარი 2018	3,492	3,492
31 დეკემბერი 2018	3,533	3,533

შპს რეალი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული

2018	2017
182,627	158,301
182,627	158,301

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები ბანკში

2018	2017
233,084	693,613
233,084	693,613

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო

2018	2017
147,355	65,756
147,355	65,756

კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 400 ლარის ოდენობით.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მზა პროდუქცია

2018	2017
7,165,012	3,579,395
14,354	351,613
7,179,366	3,931,008

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები

შპს რეალი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 3,492,591 ლარი.
მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

9. გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

2018	2017
9,092	302,831
9,092	302,831

10. სხვა მიმდინარე აქტივები

წინასწარ ანაზღაურებული ხარჯი

სხვა საგადასახადო აქტივი

2018	2017
7,792	4,962
15,649	-
23,441	4,962

11. სესხები

გრძელვადიანი სესხები

ფიზიკური პირისგან სესხი

საბანკო სესხები

2018	2017
614,020	620,880
284,719	639,963
898,739	1,260,843

მოკლევადიანი სესხები

საბანკო სესხები

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი

2018	2017
614,253	302,621
355,244	319,759
969,497	622,380

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

მოკლევადიანი საბანკო სესხი არის სს პროგრედიტ ბანკისგან საკრედიტო ხაზის ფარგლებში აღებული სესხი (საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები: N76.5441 და N76.5397) წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთები შეადგენს ლარში 11.77%-ს და ევროში 6.41%-ს.

გრძელვადიანი სესხები შეადგენს ფიზიკური პირისგან აღებულ სესხს 200,000 ევროს ოდენობით. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5%-ს. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

გრძელვადიანი სესხები შეადგენს აგრეთვე სს პროგრედიტ ბანკისგან საკრედიტო ხელშეკრულებების: N76.4302 და N75.3275 ფარგლებში აღებულ 36 თვიან კრედიტს. წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.50 % და 10%-ს. სესხი არ არის უზრუნველყოფილი კომპანიის აქტივებით.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

2018	2017
2,588,240	1,031,841
2,588,240	1,031,841

13. საგადასახადო ვალდებულებები

ქონების გადასახადი

დღგ-ს გადასახადი

2018	2017
2,943	889
-	39,603
2,943	40,492

14. გადასახდელი პროცენტი

გადასახდელი პროცენტი (გრძელვადიანი სესხი)

2018	2017
31,710	1,021
31,710	1,021

შპს რეალი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

15. ანარიცხები

გაუნაღდებელი სასაჩუქრე ბარათები

2018	2017
47,575	8,150
47,575	8,150

16. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

2018
6,578,775
6,578,775

17. სხვა შემოსავალი

გაუნაღდებელი სასაჩუქრე ბარათები

2018
1,450
1,450

18. მიწოდების დანახარჯები

ხელფასის ხარჯი

რეკლამის ხარჯი

მაღაზიების იჯარის ხარჯი

მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი

2018
(477,398)
(29,487)
(586,651)
(47,451)
(1,140,987)

შპს რეალი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

19. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

20. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯი

21. ფინანსური ხარჯი

საბანკო სესხებზე დარიცხული პროცენტი

22. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების
განსაზღვრისას:

საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

მიწოდების ხარჯი

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

სხვა ხარჯი

ფინანსური ხარჯი

2018
137,732
(160,679)
(22,947)

2018
(400)
(400)

2018
(146,108)
(146,108)

2018
(3,492,591)
(390,779)
(1,140,987)
(22,947)
(400)
(146,108)
(5,193,813)

23. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს მაღაზიები. იჯარების საშუალო ვადაა 5 წელი და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს
აღიარებულია ხარჯად

2018
624,701
624,701

წლის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთები.

საოპერაციო იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

2018
625,000
1,850,000
-
2,475,000

24. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1,624,620 ლარს (2017 წელს 1,431,665 ლარს). საწესდებო კაპიტალი სრულად შევსებულია.

შპს რეალი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

25. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული
ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2018
304,200
304,200

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე

შპს რეალი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

25. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული
ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2018
304,200
304,200

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019
წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: მაყვალა რაზმაძე

მ. რაზმაძე